პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 კვირა 31 ივლისი № 177 (16917) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 ივლისი სსრ კავშირის საამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრებს შავი ზღვაზე მეზღვაურები.

ერთიანი ბრიგადა

სურათზე: ვახტანგ ოფიცერი ნიკოლოზ მანჩავსკი და მესიგნალე მატროსი თამაშურ მეკეიძე.

ი. ნიკიშოვის ფოტო.

საკონსტიტუციო კომისიაში

საკონსტიტუციო კომისიამ ამსჯელა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაოსახალხო განხილვის მიმდინარეობის საკითხზე.

კომისიამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტის განხილვა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მას ახასიათებს საბჭოთა მოქალაქეების დიდი აქტიურობა, მაღალი მოქალაქეობრივობა და გონიერული მსჯელობა, აგრეთვე საქმიანი და ბოლშევიკური დაინტერესება ისეთი ძირითადი კანონის მიღებით, რომელიც ხელს შეუწყობდა სამშობლოს ძლიერების ზრდას, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ავტორიტეტის ამაღლებას, საბჭოთა სახელმწიფოს სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, კომუნისტური შენებლობის გზაზე ჩვენი საზოგადოების წინსვლას. მთელი ხალხი ერთსულოვნად იწონებს და უჭერს მხარს კონსტიტუციის პროექტს. მისი განხილვა მიმდინარეობს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, შუშების, კოლმეურნეობისა და ფხტელიგენციის შემოქმედებითი ძალების მობილიზაციის ნიშნით. ბევრი შრომითი კოლექტივი გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს ისრულებს 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პროექტის პროპაგანდა, მისი შესწავლისა და საქმიანი განხილვის ორგანიზაცია პარტიული და საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. ამ დარგში დიდ მუშაობას ეწევიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ფართო გაქანება მიეცა კონსტიტუციის პროექტის განხილვას შრომის კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას. 20 ივლისისთვის უკვე გამართული იყო მშრომელთა 650 ათასზე მეტი კრება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 57 მილიონმა კაცმა.

რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა 4,5 ათასზე მეტი პარტიული კომიტეტების პლენუმი. პარტიული აქტივის კრებია, 287 ათასზე მეტი პარტიული კრება, რომლებზეც 1 მილიონ 925 ათასი კომუნისტი გამოვიდა, მოეწყო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 50 ათასზე მეტი სესია, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიები. ამ სესიებზე გამოვიდა 322 ათასი დეპუტატი. კონსტიტუციის პროექტი განხილეს პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლენუმებზე, აქტივებსა და კრებებზე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის კრებებზე.

საკონსტიტუციო კომისიის და მის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, ადგილობრივ ორგანიზაციებს, გაზეთების redაქციებს, რადიოსა და ტელევიზიის მეუვდათ 67 ათასზე მეტი წერილი, სადაც შეფასებულია კონსტიტუციის პროექტი, წამოყენებულია წინადადებანი მისი ტექსტის თაობაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტმა ფართო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობა სოციალიზმის მტრების ცილისწამებლურ კამპანიას უპირისპირებენ პროექტის დასაბუთებულ, დამაჯერებელ ანალიზს, და ეს პროექტი სოციალისტური დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკის განსახიერებად მიაჩნიათ.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა კიდევ ერთი გამოვლინებაა იმისა, რომ მასები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ წებას. მშრომელები მხურვალედ იწონებენ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. სსრ კავშირის მოქალაქენი სიხარულითა და სიამაყით ლაპარაკობენ სოციალიზმის დიად მონაპოვრებზე, რომლებიც სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაშია დამკვიდრებული.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები თავიანთ ღვიძლ ინტერესებად მიაჩნიათ და უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ეთიკლდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, ისწრაფვიან სრულად გამოიყენონ საბჭოთა წყობილების მიერ მინიჭებული უფლება-თავისუფლებანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის სრულყოფისათვის, კომუნისტური შენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მშრომელები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ გარემოების პრინციპულ მნიშვნელობას, რომ კონსტიტუციის პროექტში შეტანილია სპეციალური მუხლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის შესახებ, აგრეთვე თავიანთ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრინციპების შესახებ. გაეცნოველებით განიხილავენ მუხლებს სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ, მოხუცებულობაში მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის უფლების შესახებ, ბინის უფლების შესახებ და ა. შ. წერილებსა და გამოსვლებში ჩანს, რომ მშრომელებს შეგნებული აქვთ და მხარს უჭერენ კონსტიტუციის პროექტის დებულებებს საბჭოთა მოქალაქეს უფლება-მოვალეობათა ორგანული კავშირის შესახებ, აღნიშნულია, რომ კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის დაუდევარი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისა და მისი ეკონომიკისადმი, ლოთობა. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება, მომხვეჭელობა. მშრომელთა ბევრი წინადადება ეძღვნება მოხარდი თაობის აღზრდის გაუმჯობესების, ოჯახისა და შრომის ვეტერანებისათვის ზრუნვის გაძლიერების საკითხებს.

კონსტიტუციის პროექტის თაობაზე შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს გულდასმით განიხილავენ საკონსტიტუციო კომისიაში. მათი გაანალიზება-განზოგადების საქმეში ჩაბმული არიან კვალიფიციური სპეციალისტები, სამინისტროებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. არც ერთი დიდმნიშვნელოვანი აზრი, არც ერთი საქმიანი წინადადება არ უნდა გამოგვრჩეს — ასე აყენებს საკითხს საკონსტიტუციო კომისია.

მოქალაქეთა წერილები და გამოსვლები შეიცავენ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს მამდინარე სამეურნეო საქმიანობის, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების, სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე. მათ ანზოგადებენ და შესაბამისი სამინისტროები, პარტიული, საბჭოთა ორგანოები და სხვა დაწესებულებები იღებენ ზომებს ამ წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის.

ამასთანავე საკონსტიტუციო კომისია აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის პროექტის ახსნა-განმარტება და განხილვა ყველგან არ არის მეტიროდ დაკავშირებული წარმოების განვითარების საჭირბოროტო ამოცანებთან, არ მხარდება ნაოლოგანებათა აღმოფხვრის, დაკისრებული საქმისათვის თითეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლების საქმე. ზეგოთების, რადიოსა და ტელევიზიის ზოგიერთი რედაქცია იშვიათად აქცევს მიმოხილვითს მასალებს, რომლებშიც შედარებული იქნება სხვადასხვა გამოთქმული თვალსაზრისი, ნაკლებად იბეჭდება სტატიები, რომლებიც განმარტავენ პროექტის თეორიულ დებულებებს, მოქმედ კანონმდებლობას.

საკონსტიტუციო კომისიამ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს ურჩია განახორციელონ ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შემდგომი გეგმაზომიერი განვითარება.

საკონსტიტუციო კომისიამ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის ახალ ძირითად კანონში ხორციშესხმული მილიონთა კოლექტიური გონება, კოლექტიური გამოცდილება კომუნისტური შენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მიღწევის მძლავრი წყარო გახდება.

საოლქთშორისო ვარიანტი

400.000 ტონა ჩაისათვის!

აგვისტოში უნდა მოიკრიფოს 60 ათას ტონაზე მეტი!

ვკრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ჩაის ფოთოლი!

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ამ დღეებში ქ. მახარაძეში გამართულ თათბირზე საქართველოს მეჩაიეებმა იკისრეს: საუბილეო წელს მოკრიფონ 400.000 ტონა ჩაის ნედლეული, ე. ი. 20 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ეს ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

უალრესად სასატიო და ამასთან დიდი პასუხისმგებლობის ამოცანაა!

ხვალ პირველი აგვისტოა. აგვისტოს თვე კი გადამწყვეტია ნაკისრი გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებაში. სიტყვა საქმედ რომ იქცეს, აუცილებელია აგვისტოში მოიკრიფოს 60 ათას ტონაზე მეტი ფოთოლი.

მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ვალია კიდევ უფრო გაძლიერონ კრიფის ტემპი, რომ არ გაუხეშდეს ფოთოლი, ვკრიფოთ ყოველგვარ ამინდში, და რაც მთავარია, ვკრიფოთ მაღალხარისხოვნად.

ქვემო ვაქვეყნებთ ცხრილს, რომელიც გვაცნობს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მეჩაიეობის რაიონების ახალ, საბოლოო ვალდებულებებს, აგრეთვე იმ ზღვრებს, რომლებიც უნდა აიღონ მათ აგვისტოს თვეში, უფრო ნათლად რომ ითქვას — აუცილებლად რამდენი ტონა უნდა მოიკრიფოს, რომ ღირსეულად შეავსრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი მიცემული პირობა.

ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები	ჩაის ფოთლის ახალი კრიფის ვალდებულება (ტონობით).	აგვისტოს ვალდებულება (ტონობით).
აფხაზეთის ასსრ	75.000	12.000
აჭარის ასსრ	55.500	9.000
მახარაძე	70.000	11.300
ზუგდიდი	54.000	8.800
წალენჯიხა	25.500	4.100
გეგეჭკორი	21.000	3.400
ლანჩხუთი	19.000	3.100
ჩხოროწყუ	18.500	3.000
ჩოხატაური	11.000	1.800
ქ. წყალტუბოს ზონა	10.500	1.700
ცხაკაია	9.800	1.600
ქ. ტყიბულის ზონა	8.800	1.400
ხობი	8.000	1.300
წულუკიძე	8.000	1.300
სამტრედია	2.500	500
თერჯოლა	1.050	200
ქ. ჭიათურის ზონა	980	200
აბაშა	900	200
ვანი	630	100
სულ რესპუბლიკაში	400.660	65.000

სიგნალები ჩაის კლანტაციებიდან

ფოთოლი არის, მაგრამ არ კრეფენ...

ჩოხატაურელ მეჩაიეებს ამ ბოლო წლებში ვერ დავემდურებით, ჩაის კარგ მოსავალს იღებენ. წლეულსაც გაცილებით მეტს ჰპირდებიან საშობლოს — ახალი ვალდებულებით მათ 11 ათასი ტონა ნედლეული უნდა დაამზადონ.

და აი სიტყვა რომ საქმედ აქციონ, რაიონში ბევრგან თავდადებული შრომაა გაჩაღებული. მაგრამ გულსატკენ ფაქტებსაც შეხვდებით.

გუშინ, 30 ივლისს, დავათვალიერეთ სოფელ ბუკნარის ჩაის პლანტაციები. ჭიქენარის ტერატორიაზე № 2 ბრიგადის მეჩაიეც. მდინარაძისათვის მიჩენილ ნაკვეთში ფოთოლი უხვად არის შემოსული, მკრეფავი კი დღის 5 საათზე არ იყო პლანტაციაში. იგივე სურათი ვნახეთ ლ. სირაძის ნაკვეთში. ლორთქმა დუყები ბევრია, მაგრამ, ეტყობა, რამდენიმე დღეა მას ადამიანის ხელი არ მიჰკარებია.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა იმ ჩაის პლანტაციებში, რომლებსაც უვლიან ი. ჯაღლაძე, შ. ცეცხლაძე და დ. ანდღულაძე. მათს ნაკვეთებში ფოთოლი მთლიანად გაუხეშებულია.

ამავე ტერატორიაზე სოფელ ზოტის კოლმეურნეობის რამდენიმე ბრიგადა ჩაის ფოთოლი საკრეფად არის შემოსული, მკრეფავები კი მთელი დღის განმავლობაში არ ჩანდნენ.

დღის მეორე ნახევარში სოფელ ბოხვაურის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობის მეჩაიეებს ვესტუმრეთ. ჩაის პლანტაციებში, რომლებიც ნასაკრალის ტერიტორიაზეა, თითქმის ყველგან მეტნაკლებად უხვად არის შემოსული ფოთოლი. ჩვენ აქ მოვნახულეთ მოწინავე მეჩაიეები თ. ჩხატარაიშვილი, მ. სირაძე, უ. ჩავლეიშვილი და სხვები. ისინი ენერგიულად შრომობდნენ. იქვე ახლოს № 2 ბრიგადის (ბრიგადირი გ. ლლონტი) ტერატორიაზე კი მ. ბეფხოიძის, ლ. გირკელიძის და სხვების ნაკვეთებში ფოთოლი თითქმის გადაუხეშებულია. აქაც დღის ოთხი საათისათვის არავინ იყო საკრეფად გამოსული.

განა ეს მოსათმენია?

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიფრინავს „კოსმოს-935“

1977 წლის 29 ივლისს საბჭოთა კავშირში გაეშვა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-935“.

თანამგზავრზე დაგმული სამეცნიერო აპარატურა განკარგავს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების 1977 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ და მისმა საყოველთაო-სახალხო განხილვამ რესპუბლიკის მშრომელთა ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობის განვითარებაში წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია. მკვეთრად შემცირდა იმ საწარმოთა ხვედრითი წონა, რომლებმაც ვერ შეასრულეს საგეგმო დავალებები.

კარგად იმუშავეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის მშრომელებმა, რესპუბლიკის რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა.

ამასთან შეიძლება საწარმომ ვერ შეასრულა წარმოების მოცულობის საგეგმო დავალებანი და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. რესპუბლიკის ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა შეიანეს წარმოების ზრდის ტემპი 1976 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მრეწველობის განვითარების შედეგები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ყველა სამინისტრო, უწყება და საწარმო რომ ახორციელებდეს უპირველეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის გადიდების გზით წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დასახულ ღონისძიებებს.

განიხილეს რა 1977 წლის პირველ ნახევარში სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიერ სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნონ:

შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:
მშენებლობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
კვების მრეწველობის სამინისტრო — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	კვების მრეწველობის სამინისტრო
საავტომობილო გზების სამინისტრო — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	საავტომობილო გზების სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — ხე-ტყისა და ნისლამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო
საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
ცეკავშირი — ვაჭრობის სამინისტრო	ვაჭრობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
დამზადების სამინისტრო — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	დამზადების სამინისტრო
საქმიდროენერგომშენი — საქმთავარმონტაჟსპეცმშენი	საქმიდროენერგომშენი
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — კავშირგაბმულობის სამინისტრო	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო (საქართველოს სს რესპუბლიკაში) — საქართველოს საზღვაო სანაოსნო	ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო
გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო — ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველო	გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო
სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი

(დასასრული მე-2 გვ.).

დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის საქმე

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ახალი ფორმით დამზადების პირველ შედეგებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანებათა თავმჯდომარეები, ორგანიზატორები და ბუღალტრები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამამზადებლები.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ჭელიდაშვილმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შ. ეცადაშვილი, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ი. ბუროკანაძე, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. ანუა, ხაშურის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ლ. ციციშვილი, მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. თენეიშვილი, ახმეტის მეკვლახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ს. შაშიაშვილი, ახალქალაქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული, გაერთიანების ორგანიზატორი ა. ჯაზარიანი, აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გაერთიანების თავმჯდომარე ე. ქათამაძე, წყალტუბოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანების ბუღალტერი ნ. ნემსაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ფირანიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

უმაღლესთო შრომითი აღმავლობა სუფევს მთელ რესპუბლიკაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული მოხსენებით აღფრთოვანებული სოფლის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ახალი სახელოვანი საქმეებით უპასუხონ ქრასნოდარის მხარის მიწათმოქმედთა მოწოდებას, რომ საიუბილეო წელს მოიწიონ ჟდიდი მოსავალი, შეასრულონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ვალდებულებანი.

დღითიდღე იზრდება კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მიღებული პროდუქციის ნაკადი. მემცენარეობისა და მეცხოველეობის დიდძალ პროდუქტებს ამარებენ სოფლის მშრომელები თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებიდან.

რესპუბლიკაში, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, შემოშავებულია და ინერგება მოსახლეობისადან შეძენილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი ფორმა. თათბირზე აღინიშნა, რომ ეს ფორმა, როგორც მისი განხორციელების პირველმა პერიოდმა ცხადყო, აწესებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შესყიდვას, ხელს უწყობს მათი შემოსვლის ზრდას. სოფლის მშრომელებს ახლა ალარ უხდებათ დამზადებული პროდუქციის მიტანა დამამზადებელ პუნქტებში, ამიტომ არ სწყდებიან მუშაობას საზოგადოებრივ მეურნეობაში, ასევე პირად დამხმარე მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი ფორმა, რომლის წარმატებით განხორციელებაში ადამწყვეტი როლი უნდა შესრულონ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, როგორც ეს თათბირზე ითქვა, დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯი იქნება სოფლად, შესაძლებლობას მოგვცემს გავაფართოოთ და გავაღრმავოთ დემოკრატიული საფუძვლები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობაში, მასტიმულირებელად გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობის ზრდაზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი ფორმით მუშაობის პირველი შედეგები მოწმობს, რომ იგი ნორმალურად მიმდინარეობს. მას დადებითად იხმაურებიან სოფლის მშრომელები, ამაღლებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა ავტორიტეტს. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კიტრის, საზამთროს, სხვადასხვა ბოსტნეულის რაოდენობა. ამოცანა ის არის, რომ გაღრმავოთ დამზადების ახალი ფორმის დანერგვის პროცესი და მივაღწიოთ კარგ მაჩვენებლებს ყურძნის, ხილის, მემცენარეობის სხვა პროდუქტების და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადებაშიც.

თათბირზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ აგვიანებენ დამზადების ახალ ფორმაზე გადასვლას, ზოგან ჯერ კიდევ შერჩეული არ არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელი რაიონული გაერთიანებების მუშაკთა კადრები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს არა მარტო დამზადების ახალი ფორმის არსის განმტკიცებისათვის, არამედ მისი პრინციპების განხორციელებისათვისაც. თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო დამამზადებელი სისტემის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების, ოჯახებისა ყველა კატეგორიის მუშაკთა. შეგნებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს, რომლებმაც უნდა დაინერგონ ახალი, პროგრესული მეთოდები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში. თათბირმა დასახა ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას, რათა წარმატებით განხორციელდეს სიახლე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში, მიღწეულ იქნას მაქსიმალური ეფექტი ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი. (საქინფორმი).

კომუნისტი, 1977 № 177 (16917)

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების 1977 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

(დასასრული)

გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.

საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს:

შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აჭარის ასსრ
სამხრეთ ოსეთის აო — აფხაზეთის ასსრ	აფხაზეთის ასსრ

ქალაქები:

შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:	შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:
ბათუმი — სოხუმი	ბათუმი	ქუთაისი — რუსთავი	ქუთაისი
გორი — ცხინვალი	ცხინვალი	ტყვარჩელი — ტყიბული	ტყიბული
ზუგდიდი — ფოთი	ფოთი	ტყიბული — ჭიათურა	ჭიათურა

რაიონები:

შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:	შეჯიბრებულნი:	გამარჯვებულნი:
აბაშის — ოჩამჩირის	აბაშის	ამბროლაურის — ონის	ონის
ადიგენის — ასპინძის	ასპინძის	ახალქალაქის — ბოგდანოვკის	ბოგდანოვკის
ახალციხის — ხაშურის	ხაშურის	კასპის — მცხეთის	მცხეთის
ახმეტის — ყვარლის	ყვარლის	ლაგოდეხის — მარნეულის	მარნეულის
ბოლნისის — დმანისის	დმანისის	ლენტეხის — მესტიის	ლენტეხის
ბორჯომის — წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონა	წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ზონა	მაიაკოვსკის — წულუკიძის	მაიაკოვსკის
ვანის — თერჯოლის	თერჯოლის	ორჯონიკიძის — სახიერის	სახიერის
გარდაბნის — მარნეულის	გარდაბნის	სენაოლის — წითელწყაროს	სენაოლის
გეგეჭკორის — ჩხოროწყუს	გეგეჭკორის	საგარეჯოს — სიღნაღის	საგარეჯოს
გორის — თელავის	თელავის	თიანეთის — ლენინგორის	თიანეთის
გუდაუთის — ცხაკაიას	ცხაკაიას	ცაგერის — ამბროლაურის	ცაგერის
გურჯაანის — თელავის	გურჯაანის	წალენჯიხის — გალის	წალენჯიხის
დუშეთის — თეთრიწყაროს	თეთრიწყაროს	წალკის — დმანისის	დმანისის
ზესტაფონის — სამტრედიის	ზესტაფონის	ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის
ზნაურის — ქარელის	ქარელის	საჩხერის — ყვარლის	ყვარლის
ზუგდიდის — მახარაძის	მახარაძის	გაგრის საქალაქო საბჭოს ზონა — ქობულეთის	გაგრის საქალაქო საბჭოს ზონა
ყაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის	სოხუმის — ხობის	ხობის

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ ფართოდ გაშალონ პოლიტიკურ-ორგანიზატორული და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა კიდევ უფრო გააღიდონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, შრომითი შეჯიბრების მონაწილეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. (საქინფორმი).

საზეიმო კრებები

მოსკოვი

29 ივლისს საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა და დიდქალაქის გაერთიანების მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, მიეძღვნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. პ. რაბოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრები, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, გენერლები და ადმირალები.

კრებაზე გამოვიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი.)

თბილისი

29 ივლისს გამარჯვების პარკში გაიმართა საქართველოს დიდქალაქის მშრომელთა და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საღამო, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

საღამო, რომელიც მოაწყვეს საქართველოს ალკგ თბილისის კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის არმიის, ფლოტისა და ფლოტის ხელშეწყობი წარაყოფლობითი საზოგადოებების ცენტრალურმა კომიტეტმა, ქალაქ თბილისის ტრანსპორტის, ელექტროენერგეტიკის, ელექტროფიკაციისა და ელექტრული ტექნიკის, ელექტრონული ინდუსტრიის, ელექტროტექნიკური ინდუსტრიის, ელექტრონული ინდუსტრიის, ელექტრონული ინდუსტრიის, ელექტრონული

ყოველ ბწკარში სიბრძნე ღვიძის

ვასილ გვეტაძე

დღეს რომ ყანას ყანა ჰქვია,
ჩვენ მის ჯეჯილს შრომით ვზრდიდით.
რა გრძელი გზა გაგვივლია
ნაომარ ხალხს ძმობის ხიდით.

რა იმედით მივალთ ძმები
შუქში გაჭრილ დიად გზაზე,
როგორ დავდგით პურის ძნები
და რა ზრუნვით ვუვლით ვაზებს,

როგორ ეძმო მოძმეს მოძმე,
რით ამაღლდა სახლის ჭერი,
იფლით მიწა როგორ მოვრწყეთ —
შიგ წერია ყველაფერი.

ისევ აღმა, ზევით, ზევით,
დე, ბოლომდე ასე გვევლოს...
აი, გამოვლილი გზები —
ბრძოლით გატანილი ლელო!

დაგიამდა გული, განა?
შენი მიწის სუნთქვა გესმის?
როგორც სიო მწიფე ყანას,
ფიქრი დაგთრთის უამესი.

სითბო გამდნარ ლაჟვერავით
სდის და ღარში ვერ ეტევა.
ყოველ ბწკარში სიბრძნე ღვიძის
და სიტყვა ჰგავს სავსე მტევანს.

თვალს სინათლე ემატება,
ცინცხალ სივრცით ვიფონებით...
კამკამებენ კელაპტრებად
ჩამოქნილი სტრიქონები.

ასე რომ ცვლის დროს და მანძილს,
რა ძალაა, ნეტა, იგი...
აი, მონახული განძი —
ხელში საგოგმანო წიგნი!

კითხულობენ, ჩასცქერიან,
კითხულობ და კითხვა გინდა.
ოქროს ხელით ნაწერია,
მზის ბუდიდან ამოფრინდა.

— ამ ნაწერში, დებო, ფრთას შლის
ყველა ჩვენი ნაფიქრალი, —
ამბობს ქოჩრიანი ვაჟის
აკვნის დამრწეველი ქალი.

მიაშველა სიტყვა ეშხით:
— არაფერი ამის მსგავსი
არ მინახავს მე ჩემს დღეში!

დაჭრილმა თქვა: ომის წლები
თითქოს თვალწინ ირწევიან.
ეს მართალი სტრიქონები
ჩვენ სანგრებში გვიწერია...

ჩანგო, ოქროს ძეწკვიანო,
ჩანგო, ჩემო გულის ფეთქვავ,
შენც შენს ხმაზე გეწკრიალოს
და სათქმელი შენი გეთქვას.

სჭიქე ჰანგი სხვა ნაღარით —
საქებარი უნდა გვიქო...
რა მაღალი, რა მაღალი
აზრი ათბობს ყოველ სტრიქონს!

მის მორთოლვარ ფრთას თან აჰყვები,
სხვა სიცოცხლე სუნთქავს შიგნით.
აი, ოქროს ვარაყებით
გულში ჩასასმელი წიგნი!

ჩაფურცლე და რა არ იგრძენ,
სტრიქონს გული უცემს წმინდა.
როგორც დილამ, დიდმა სიბრძნემ
მოგანათა ფურცლებიდან.

გრძნობ, რომ ქვაშიც სითბო შედის,
რადგან გული გამთბარია,
რადგან ჩვენი ქვეყნის ბედი
ჩვენს პარტიას ანდარია.

სხივმა გაჭრა წლების სისქე,
ყური იქერს გაბმულ შრიალს.
ნიჭქრის ფიქრი მომავლისკენ
და ფრთა ხალხში გაუშლია.

რა სიმართლით აღბეჭდილა
დღე შენების. შუბმის, ბრძოლის.
მორჩს ხვალინდელი დილა
და ნანატრი მთების ზოლი!

...სულ რომ თავზე დაგვფართქალობ,
მზეო, მთაზე აწვერილო,
ჩვენო ქანონ-სამართალო,
უკვდავ ხელით დაწერილო...

რაც გაშუქდა სხივთა ჯარით
აღარასდროს ჩაგვიქრება.
სხვა სინათლე შენი დარი
არც ყოფილა, არც იქნება!

ცამ ფარჩები ჩამოჰფინოს,
ანა, დარი მართლა დარობს.
შენ ცხოვრების ჩვენის ძირო!
შენ მშვიდობის ალამდარო!

შენმა შუქმა მადლიანმა
გული აგვივარდიანა.
სამუდამოდ დაგვებედა
სიხარული, დარდი არა!..

ვკოცნით მაგ შენ წმინდა კალთებს,
წრფელი ხმები ცაში ადის.
მაშ, გაბრწყინდი, გაანათე,
აშრიალდი!.. აშრიალდი!..

კანონთკანონი

ევგენი გართაია

ის შენ გეკუთვნის, ის ხალხს ეკუთვნის,
ის — დედასავით მუდამ მართალი,
შენ, ჩემო ძმაო, მუშავ, მეგუთნევ,
ჩვილო, ჯერ წელში გაუმართავო.
ეს ცაც შენია, ეს ტყეც, ეს წყალიც,
ეს მიწაც — შენი ფუძე-აკვანი.
ჭიკჭიკებს ისევ შენი მერცხალი
და მოაქვთ სითბო კვლავ ზენაჰარებს.
შენთვის მოდიან ეს ამინდები —
მოჩუხჩუხებენ შენთვის წყარონი.
და სიხარულით შენც გაფრინდები
გულის კარნახით — გულის კანონით.
მდინარეები მიგიგუნებენ:
„ქალაპოტებში ვიდარ ვეტევიო!“ —
არა უფრთებოდ და უგუნებოდ,
არამედ დილვით და გამეტებით.
იქოჩრებიან მთები, ტყეები —
სივრცეს შერწყმიან ლურჯი და მწვანე.
და გულიც ამ ზღვა ფერთა ტყვე არი,
ლურჯის და მწვანის ფერში დამწვარი.
იღიმებიან ლურჯი იებიც,
სიხარულივით სანეტარონი...
დიდია შენი თვალსაწიერი —
გულის კარნახით — გულის კანონით.
ხმა უნდა ქუხდეს კაცის გულიდან —
ცეცხლი ლავაში დაუტევარი.
რად გინდა გული უხმო, ურითმო,
ვაზი — უფოთლო და უმტევანო! —
ზღვა ხან მშვიდია, ხან გლეჯს ნაპირებს,
ხან მზეს ჩაიწნავს, ხან ბინდს, ხან მთვარეს.
ზღვა ხან სიცოცხლით სუნთქავს აპრილის,
ხან — თოლიების ფრთების ფართქალით.
ხან ბუდეშორის ტკბილ მტევნებივით
აივსებიან ოქროს ტარონი.
და შენ სიცოცხლის ტევრში ნებივრობ —
გულის კარნახით — გულის კანონით...
იქ — შორს... კანონი მხოლოდ ხატია
და კაცის ბედზე არვინ ვალალებს.
იქ არვის წყლული არვის არ სტკივა —
წყლულზე არავინ ადებს მალამოს.
სხვა არ უყვარდეს (წესი ასეა),
არც მიეშველოს და არც მიხედოს.
ადამიანის სიტყვა ფასდება
კანის ფერის და „სისხლის“ მიხედვით.
შენ იმ კანონის სიბრძნით ამაღლდი,
ოქროს ზარივით სულ რომ წკარუნებს.
შენ ხარ მაღალი, შენ ხარ ამაყი
და იამაყე შენ იმ კანონით.
ის შენთვის ადნობს ფოლადს მარტენში
და შენთვის ავსებს პურის თავთავებს.
ის არის შენი მზეც, ნეტარებაც,
იმედიც — შენი რწმენის სათავეც.
შენი შვილების, შვილთაშვილების
ის სიცოცხლეა ფუძემაგარი.
ის დროსახავით ფრთაგაშლილია
და ყველა ტკივილს იგი აჭარვებს.
ის მე მეკუთვნის, ის შენ გეკუთვნის,
ის — დედასავით მუდამ მართალი,
შენ, ჩემო ძმაო, მუშავ, მეგუთნევ,
ჩვილო, ჯერ წელში გაუმართავო.

გუნებგა ხალხის სიმდიდრეა

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაკვის სახელმწიფო პრემიტის გაფრთიანებულ სხდომაზე ეროვნული ბუნების დაცვის, ეროვნული რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური ... კომპლექსური გამოყენების, ... ბის და წყლის სისუფთავის ... ნარჩუნების, ადამიანის სამყაროში ბუნების ჩაყენების საკითხები.

სხდომა შესაფალი სიტყვით ... საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის ... გ. აბაშიძემ.

მოხსენება „ბუნების დაცვა ... ეროვნული უზენაესი კონსტიტუციური კანონია“ წაიკითხა ... ბლიკის მინისტრთა საბჭოს ... ნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კარავამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი ი. ნონეშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი თ. დავითაია, მოქანდაკე გ. ოჩიაური, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ც. მირცხულავა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ციციშვილი, მწერლები თ. დონეიშვილი, რ. თაბუკაშვილი და ლ. მრელაშვილი, პოეტი ა. გომიაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ჟორჟოლიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. გიგაური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გ. ჯავახიშვილი და სხვები.

კომეწიზმის მშენებელ ქვეყანაში, თქვეს ორატორებმა, ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენების, გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის საკითხებზე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი და საკანონმდებლო აქტები მიღებული. ბუნებისა და გარემოს დაცვისათვის ზრუნვით არის განმსჭვალული ჩვენი ქვეყნის ფუძემდებლური დოკუმენტი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ვალდებულნი არიან აქტიურად განახორციელონ ყველა გადაწყვეტილება, კანონი და დადგენილება, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვასა და გამრავლებას. (საინფორმო).

ტელეტაიპი გაგზავნილია

მსოფლიოს ამბები

ეროვნული ... ინფორმაციის

სოციალიზმის მიმზიდველი ძალა

საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს, მის ისტორიულ მონაპოვრებს, რომლებიც მაფიქრებდ აისახა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, ფართოდ იხილავენ და განიმარტავენ ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ბუდაპეშტი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის იუბილეს ზეიმის მნიშვნელობა სულ უფრო მატულობს იმის გამო, რომ იუბილეს წინ, ოქტომბერში, სსრ კავშირია უაღლესი საკანონმდებლო საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც წინასწარ გამოტანილია საყოველთაოსახალხო განხილვისათვის, აღიარებენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტიკური და თეორიული ორგანო „ტარშადალმი

მლე“. 1936 წლის კოლიტიტუციის ტექსტთან ახალი კონსტიტუციის პროექტის შედარება შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ის უდიდესი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც ამ დროის ძახილზე საბჭოთა კავშირში მოხდა.

სოფია. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი თვალისწინებს იმას, რომ სოციალიზმი ხალხის მასების შეგნებული ცოცხალი შემოქმედების პირმშოა, ხაზს უსვამს ბულგარული „ეროპერატივნო სელო“. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, მისი პრინციპები, საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოსა და სოციალისტური დემოკრატიის ფუნქციათა დამკვიდრება დაძაბერებულად ადასტურებენ, რომ სულიკვეთებ, რომლითაც გამსჭვალულია სოციალისტური საზოგადოების თეული ეტმოსფეროო, — ეს არის ისტორიული ოპტიმიზმის, იმის მტკიცე რწმენის სულისკვეთება, რომ სოციალიზმი მთელი კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური გზაა.

დელი. კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილი საბჭოთა მოქალაქეების ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, წერს ჟურნალ „სოვიეტ რევიუში “ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს წევრი ქიუენ მუკერჯი, ადასტურებენ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ასრულებენ ლენინურ პრინციპებს სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, უეჭველია, შეიტანს წვლილს მთელი სოციალიზმის განვითარებაში, წერს დასასრულ მუკერჯი. მასში აისახა საბჭოთა კავშირის მიერ შეძენილი გამოცდილება, რომელიც წარმატებით შეიძლება გამოიყენოს სხვა ქვეყნებმა მან წინაშე დასახული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

ჰავანა. განვითარებადი ქვეყნების ხალხები მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც თვალსაჩინოდ უჩვენებს მთელ კაცობრიობას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოების წარმატებებს, სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობებს, თქვა ცნობილმა უგანდელმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ჩარლზ კიგვემ.

ჩ. კიგვემ განსაკუთრებით გამოყო ის ფაქტი, რომ საბჭოეთის ძირითად კანონში ოფიციალურად არის დამკვიდრებული საბჭოთა ადამიანების ფართო უფლებები და შესაძლებლობანი სახელმწიფო საქმეთა მართვაში.

ანზიუსის სესია

კანბერა, 29 ივლისი (საკდესი). ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში დამთავრდა ანზიუსის სამხედრო ბლოკის მორიგი ყოველწლიური სესია, რომელშიც შედიან შეერთებული შტატები, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის უ. კრისტოფერისა და ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საგარეო საქმეთა მინისტრების ი. პეკოკისა და ბ. ტოლბოიზის მიერ ხელმოწერილი კომუნიკე მოწმობს, რომ ანზიუსის სტრატეგიები ... ეაპირებენ იარონ მსოფლიოს ამ რაიონში დაძაბულობის გამწვავების გზით.

ჰანი ჰასანის განცხადება

ბეირუთი, 29 ივლისი. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა ლიბანის კონფლიქტი გამოიყენეს იმისათვის, რათა შეცდილყვნენ დაემარცხებინათ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, განაცხადა ბეირუთის ყოველკვირეულის „ალ-ჰავადისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ჰანი ჰასანმა. მან ხაზი გაუსვა, რომ რაბათის უმაღლესი დონის თათბირის შემდეგ, სადაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ცნეს პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განსაკუთრებით გააქტიურა თავისი საქმიანობა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ. რაბათის თათბირის გადაწყვეტილებანი არ შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებებს, რომელიც ცდილობს არაბებს თავს მოახვიოს ეტაპობრივი დიპლომატიის პოლიტიკა.

ამერიკა—საბერძნეთის შეთანხმება

ათენი, 29 ივლისი. (საკდესი). აქ პარაფირებულია ორმხრივი შეთანხმება საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ. შეთანხმების მიხედვით ამ ქვეყანაში, რომლის მიმართაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვალდებულება იკისრა მისცეს სამხედრო დახმარება 700 მილიონი დოლარის ოდენობით, კიდევ ოთხი წლის განმავლობაში იქნება ამერიკის 4 სამხედრო ბაზა.

ჯ. კარტერი — პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 29 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოაცხადა, რომ დამთავრდა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციათა სამმხრივი კონსულტაციების პირველი რაუნდი, რომელიც ეხება ატომური იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულების შესახებ 13-27 ივლისს ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებას.

თუმცა ჯერ კიდევ უნდა გადაწყდეს მთელი რიგი პრობლემები, თქვა ჯ. კარტერმა, მაგრამ ამ ინტერსიური კონსულტაციების შედეგი იმდენად მრავლისადმთქმელი იყო, რომ მან სამ-ოთხ კვირაზე შესაძლებლობა მისცა მიელო გადაწყვეტილება, რათა 3 ოქტომბერს ჟენევაში განახლდეს ეს მოლაპარაკება. იმედი მაქვს, განაცხადა მან, რომ შესაძლებელი იქნება გამოვლინდეს საკმაო საფუძველი შეთანხმების მიღწევისათვის, რათა მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფო შეუერთდეს სამ ქვეყანას და ატომური მოწყობილობების გამოცდა საბოლოოდ აიკრძალოს.

პრესკონფერენციის მსვლელობაში დიდი ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის პრობლემას. პრეზიდენტის გამონათქვამებში აისახა ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ორეულ ხასიათი. ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები დღენიადაგ მბარს უტერს ისრაელის ავრესიულ ექსპანსიონისტურ კურსს, განუწყვეტლივ უდიდებს უახლესი ამერიკული იარაღის მიწოდებას, მეორე მხრივ კი ცდილობს შექმნას ისეთი მშთაბეჭდილება, თითქოს იგი „სამართლიანად“ და „ერთგულად“ უდგეთდეთ ... ყველა მეზეყაოს.

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ყურადღება მიეპყრეს იმას, რომ ვაძინგტონში ამასწინადელი მეზეკედრეა დროს ისრაელი ... ახალი ორეშეიერ-მინისტრი, ოგორც ჩანს, ეფიანრა ამერიკის შეეთეთეული შტატების მიმართ.

ძიუნდავად ამისა, პრეზიდენტი იფულეთეული იყო ეფიერეინა, ... ამ დღეებში ტელ-ავივის მეერ გამოცადებული კიდევ ... დასაფლეთი „ლეგალიზაცია“ მდგომარე ... დასავლეთ ნაპირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე „უკანონო ქმედა“ და „ოგორც ... „დაუაბლეთა“ და ... ...

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს...

ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს პლაზმატრონი — ონიზებული ელექტრონკალის ჰაერ-წყლის სტაბილიზაციით, რომლის ტემპერატურა ცელსიუსით 30 ათას გრადუსს აღწევს. ასეთ „დანას“ შეუძლია საათში ორას მეტრამდე სიჩქარით, იუველირული სიზუსტით გამოჭრას 10-80 მილიმეტრამდე სისქის ფურცელები ნებისმიერი ფოლადიდან თუ ფერადი ლითონიდან.

არგონის, ჰელიუმისა და სხვა ისეთი ძვირადღირებული ინერტული გაზების ჰაერ-წყლის „ნაზავით“ შეცვლა, რომლებსაც ჩვეულებრივ სტაბილური პლაზმური რკალის მისაღებად იყენებენ, სპეციალისტებს დაეხმარა კომპლექსურად და ეფექტურად გადაეჭრათ წარმოების მთელი რიგი პრობლემები. მაგალითად, საგრძნობლად შემცირდა ლითონისაგან დეტალების გამოჭრის თვითღირებულება, გაუმჯობესდა მათი ხარისხი, აგრეთვე შემდუღებელთა შრომის პირობები, მათი სამუშაო ადგილების მდგომარეობა. პლაზმური რკალის სტაბილიზაციის პროცესში გამოყოფილი ორთქლი ხელს უშლის ლითონის განაჭერის დაჟანგვას და ნამზადიდან მიაქვს მტვრის ნაწილაკები, ნამწვი, რომლებიც წინათ ართულებდნენ შემდუღებელთა მუშაობას, აჭუჭყიანებდნენ მათს სამუშაო ადგილს.

საბჭოთა კავშირის ელექტროშესადუღი მოწყობილობის სამეცნიერო-საკვლევი და ტექნოლოგიური ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში შექმნილი ლითონსაჭრელ-შესადუღი დანადგარები და მოწყობილობა, რომლებსაც თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ქარხანა „ელექტროშედუღება“ უშვებს, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. ისინი მსოფლიოს 20 ქვეყანაში იგზავნება.

კ. ცხომელიძე
(საქინფორმის კორ.).

ახალი სპექტაკლი

ჟიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დრამატურგ **გივი მარუაშვილის** სატირული ზღაპარი **„ქოსატყუილებს ახალი თავგადასავალი“.**

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია გ. სებისკვერაძე, მხატვარი — ი. ხუროშვილი, მუსიკალური გამფორმებელი — ნ. ძნელაძე, ქორეოგრაფი — ა. ცერცვაძე.

პრემიერას მაყურებელი მოწონებით შეხვდა.

კოჯრის ციხე. გ. დადვაძის ფოტო.

საჩუქრად — სკოლას

მალე ბანძის სკოლა ახალმოსახლეობას იზეიმებს

კარგა ხანია მოსწავლეები დროებით დაეშვიდობნენ სკოლას. მეათეკლასელებმა კი დაფრთიანებული ბარტყებივით სამუდამოდ დატოვეს ტკბილად მოსაგონარი სკოლის კედლები და დიდი ცხოვრების გზას გაუყვნენ.

სკოლებში ახლაც ფუსფუსია და იგი სასწავლო წლის ჩვეულებრივი დღეებით როდია გამოწვეული. საკლასო ოთახებში, დერეფნებში ეზო-კარში მოსწავლეების ნაცვლად მშენებლებს, შეკეთებლებსა და მუშებსა შეხვდებით.

სასწავლო წელი დამთავრდა თუ არა, ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა. შენდება ახალი ნაგებობანი, მიმდინარე რემონტი წარმოებს ბევრ სკოლაში, ხდება სკოლებზე საკლასო ოთახების მიშენება.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები წლეულს 1 სექტემბერს ახალ შენობაში იზეიმებენ. ადრე ბანძის საშუალო სკოლა ძველ, მოუხერხებელ შენობაში იყო მოთავსებული, არ იყო მოსწავლეთა აღზრდის და სწავლების ნორმალური პირობები.

ამ სკოლას საუცხოო ტრადიციები აქვს. აქ ბევრი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა, რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომის რომელ უბანზე არ მონაწილეობენ.

ახალი სკოლის სამსართულიანი შენობა უკვე წამოიმართა. მასზე შეფობა აიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. მალე შეფის სახსრებით — 5000 მანეთის ღირებულების უახლესი ტექნიკით აღიჭურვება სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიები. მეტად მცირე იყო ძველი სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. ახალ ბიბლიოთეკაში მდგომარეობა შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ამ სკოლის აღზრდილმა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა შალვა მიხეილის-ძე კეკელიამ სკოლას თავის კარადიანად საჩუქრად უძღვნა 300 სხვადასხვა დასახელების წიგნი — მხატვრული ლიტერატურა.

პროფესორ შ. კეკელიას მაგალითი მისაბაძია. სკოლის ბიბლიოთეკით მოსწავლეების გარდა სოფლის მშრომელებიც ისარგებლებენ.

ბ. დურგლიშვილი.

„საგჭოთა ხელოვნება“ №7

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნით.** აქვეა დაბეჭდილი **ო. თაქთაქიშვილის** სტატია — ეპოქალური, ისტორიული დოკუმენტი.

ჟურნალის ფურცლებზე ფართო ადგილი აქვს დამობილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებულ შენობას — დაბეჭდილია არქიტექტორების **ლ. მეძმარიაშვილისა** და **მ. ჩაჩანიძის** საუბარი, შენობის დეტალების ფოტოსურათები.

ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა ბევრ საინტერესო მასალას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, კინოს, არქიტექტურის, ქორეოგრაფიის ახალ ამბებზე მოგვითხრობენ.

აშენდა, დამშენდა

ქუთაისი. სულ უფრო ლამაზი და მიმზიდველი ხდება ქალაქის შემოგარენი.

ახლახან სოფელ ქვიტირიდან ქალაქის შემოსასვლელი დაამშვენა არქიტექტურულად კარგად გაფორმებულმა ობელისკმა.

დ. იმედაძე.

„ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა“ №7

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის **„საბჭოთა ხელოვნების“** მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნით.** აქვეა დაბეჭდილი **ო. თაქთაქიშვილის** სტატია — ეპოქალური, ისტორიული დოკუმენტი.

ჟურნალის ფურცლებზე ფართო ადგილი აქვს დამობილი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებულ შენობას — დაბეჭდილია არქიტექტორების **ლ. მეძმარიაშვილისა** და **მ. ჩაჩანიძის** საუბარი, შენობის დეტალების ფოტოსურათები.

ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა ბევრ საინტერესო მასალას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, კინოს, არქიტექტურის, ქორეოგრაფიის ახალ ამბებზე მოგვითხრობენ.

საქართველოს მთა-ბარში

ვერილი რედაქციას

ვისი ბინა იყიდება?

თვითნებობაც და უკანონობაც

უკანასკნელ წლებში მკაცრი და ზედმიწევნით სამართლიანი ღონისძიებები ხორციელდება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური კანონიერების ნორმების დაცვისათვის, სრული საერთო წესრიგის დასამყარებლად. ამან, ცხადია, დიდი ნაყოფი გამოიღო და თვითეული ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს მნიშვნელოვან ძვრებს.

მაგრამ ზოგიერთნი ჯერაც ძველებურად განაგრძობენ მუშაობას, და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები ადმინისტრაციულ, სამეურნეო ორგანოებშიც არიან და ხელს აფარებენ გამდიდრების მანიით შეპყრობილ ადამიანებს.

კარგახანია სათანადო მკაცრ შეფასებას საჭიროებს ის დანაშაულობანი, რომლებიც კოოპერაციული ბინების ყიდვა-გაყიდვის დროს ხდება. ადგილი აქვს დიდი თანხების გამძარცვას, ნიაფდება კომუნალური და კოოპერატიული ბინები. და რაოდენ საწყენია, რომ ამ საქმის ხელის შეწყობი არც ისე იშვიათად კომუნისტებიც არიან.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგჯერ ფორმალური და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამოაქვთ ხოლმე, დეტალურად არ სწავლობენ საკითხებს. არადა, არსებობს სადირექტივო ორგანოების დადგენილება, რომელიც კრძალავს კოოპერატიული ბინების გაყიდვას, გასაჩუქრებას, სხვისათვის გადაცემას, თუ არ იქნა შესაბამისი ორგანოების თანხმობა ამ საკითხზე. სამწუხაროდ, ეს დადგენილება არ სრულდება. შეგვიძლია ამის მრავალი ფაქტი მოვაყვანოთ.

მაგალითად № 23 კოოპერატივის ერთ-ერთმა წევრმა თ. ჭავჭახიძემ (ბარნოვის ქ. № 80) 12 ათას მანეთად დირებული კოოპერატიული ბინა 45 ათას მანეთად ძიაყიდა მოქალაქე ი. ბათიაშვილს. ცხადია, ეს ორდიარი დანაშაულია: ჯერ ერთი, რომ კოოპერატივ „ბინმშენის“ წევრის კოოპერატიული ბინის გაყიდვა, გაჩუქების ან სხვისათვის გადაცემის უფლება არა აქვს, ვინაიდან ბინა ეკუთვნის არა მას, არამედ კოოპერატივს საერთოდ. მეორეც, ის, რომ მყიდველს 33.000 მანეთი გამოსძალეს. მაგრამ ყურადღება ამ ფაქტს არაკაცნ მიაქცია, რომ გამოძალული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტს ჩაბარებოდა. უფრო მეტიც. ჩვენ ერთობ უპრინციპოდ მიგვაჩნია (თუ კი მარტო უპრინციპობაა!) თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის ამხ. გ. შალამბერიძის მიერ 1976 წლის 8 ივნისს ჩვენს სახელზე მოწერილი პასუხის კომენტარი ამ საკითხის თაობაზე. თუმცა პატივცემული გ. შალამბერიძე არ უარყოფს მოქალაქე ბათიაშვილის მიერ თ. ჭავჭახიძისთვის 45 ათასი მანეთის მიცემის ფაქტს და იქვე დასძენს: „როგორც შემოწმების მასალებიდან ირკვევა, ჭავჭანიძეს არ ჰქონდა განზრახვა ბარნოვის ქ № 80-ში არსებული საცხოვრებელი ბინის შემდგომი გაყიდვისა და გამორჩენის მიღების შესახებ, ამიტომ მის მიერ დასახელებული ბინის მოქ ბათიაშვილისათვის მიყიდვის ფაქტი არ შეიცავს სპეკულაციის შემადგენლობას“ (სტილი დაცულია). ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — სწორედ ამაზეა ნათქვამი.

მოხდა ასეთი ფაქტიც: თბილისის ორჯონიკიძის რაიონში (ქობულეთის ქ. № 14) ქალაქის საბჭოს ტექადრიცხვის ბიუროს (ყოფილი უფროსი ი. კვაშალი) ხელშეწყობით 1970 წელს მეპაიეთ კოოპერაციული ბინა გაყიდა და სამაგიეროდ რამდენიმე თვეში კალინინის რაიონში კომუნალური ბინა მიიღო. ზემოაღნიშნული ბინა დღესაც „ბინმშენის“ ბალანსზე ირიცხება და ამავე დროს კერძო საკუთრებად არის აღრიცხული ქალაქის საბჭოს ტექადრიცხვის ბიუროში.

ამგვარი ხასიათის სხვა დარღვევებსაც შეხვდებით. ზოგიერთი მოქალაქე უხეშად არღვევს მოქალაქეთა არარსებული ორგანიზაციის და პიროვნების სახელზე. ასეთია, მაგალითად, ჭავჭავაძის გამზირი № 20 სახლის ნაწილი. ამაში ბრალი მიუძღვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელმწიფო არქიტექტურის კონტროლის ინსპექციის სამმართველოს (უფროსი ვ. გოგიტიშვილი), მისივე ინიციატივით კოოპერატივ „ბინმშენის“ სახლები, რომლებიც 1923-1937 წლებში ბანკის სესხით იყო აშენებული და აქამდე ყოველთვის კანონიერ მშენებლობად ითვლებოდა, 1974 წლის შემდეგ უკანონო მშენებლობად გამოაცხადეს.

ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე მ. ავალიანი) 1975 წლის 5 თებერვალს და 23 აპრილს აშკარა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით კონფისკაცია უყო ბარნოვის ქუჩაზე № 84 და ჭავჭავაძის გამზირზე № 27 კოოპერაციულ სახლებში თითო-თითო ოთახებს, მაშინ როცა ეს ოთახები ორმოცდაათი წელიწადია „ბინმშენს“ ეკუთვნოდა და დღესაც ჩვენს ბალანსზე ირიცხება. სამწუხაროდ, აღმასკომის ზეგავლენა იმდენად დიდია, რომ ჩვენ ორი წელია ამაოდ ვეძებთ სამართალს.

კოოპერაციული ამხანაგობა „ბინმშენი“ ძველი ამხანაგობაა და 103 სახლს აერთიანებს. მისი შექმნის შემდეგ თბილისში ასობით ახალი კოოპერაციული ამხანაგობა შეიქმნა. და თუ ამ კოოპერატივებს დადავსებდავთ, ბევრ დარღვევებს შევნიშნავთ. სამწუხაროდ, ჩვენს დედაქალაქში არის ცალკეული სახლებიც, რომლებიც კოოპერატივის სახელს ატარებს, აქვთ მრგვალი ბეჭედი, სინამდვილეში კი მათ არაფერი აქვთ საერთო კოოპერატივთან, ისინი ფაქტიურად კერძო კოლექტიური სახლებია. თბილისში, № 5 კოოპერატივი ბარნოვის ქ.№ 144-ში, № 52 მცხეთის ქ. № 18-ში, № 4 ბარნოვის ქ. № 144-ში, № 81 ფალიაშვილის ქ. № 81-ში, № 7 ნაფარეულის ქ.№ 12-14-ში და სხვ. ათზე მეტია ასეთი სახლი. ისინი არ აწარმოებენ კოოპერატივისათვის დამტკიცებულ სანიმუშო წესდებით გათვალისწინებულ მუშაობას, არ იცან, ვინ არის მათი ზემდგომი ორგანო, და არც ზემდგომმა ორგანოებმა იციან მათი, როგორც კოოპერატიული ორგანიზაციების არსებობა.

უმრავლესობას არა აქვს რეგისტრაციაში გატარებული წესდება, სახლის საექსპლოატაციოდ მიღების აქტი, არ იციან თითოეული ბინის საპაიო-საბალანსო ღირებულება, და გაუგებარია, სად არიან ისინი აღრიცხული. მის წევრებს კოოპერატივში შესვლის მიღებაზე განცხადება არ დაუწერიათ, ზეერთო კრებას არ დაუმტკიცებია, ერთდროული საწევრო გადასახადი არ გადაუხდიათ, არა აქვთ შექმნილი სარემონტო ფონდი, ბანკში არა აქვთ ანგარიში, ზემდგომ ორგანოებს ბალანსს არ უდგენენ, წესდების მიხედვით საერთო კრებას არ იწვევენ და ა. შ.

ამ საქმის მოუწესრიგებლობაზე მიუთითებს ისიც, რომ თბილისში (ორჯონიკიძის რაიონში) აღმორნდა რამდენიმე კოოპერატივი, რომლებსაც ერთნაირი ნომრები აქვთ (?!) ეს კი ყოვლად დაუშვებელია. ამ „თავეუფალ“ კოოპერატივებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კერძო კოლექტიური სახლები და, სამწუხაროდ, მათ ბევრად უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი, ვიდრე სრულყოფილ კოოპერატივ „ბინმშენს“ და მის წევრებს.

„ბინმშენის“ სახლები ძირითადად აშენებულია 1923-1937 წლებში, ისინი გადაუდებელ კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას მოითხოვენ (ბარნოვის ქუჩაზე № 84, 120, 151 სახლები, ფალიაშვილის ქუჩაზე № 7 სახლი, ერისთავის ქუჩაზე № 3, ჯანაშვილის ქუჩაზე № 4, მცხეთის ქუჩაზე № 4 სახლი და სხვ.), ხოლო თარხნიშვილის ქ. № 21-ში 5-სართულიანი სახლის შეკეთებაზე, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია, მიმოწერა „ბინმშენსა“ და ქალაქის საბჭოს აღმასკომს შორის დიდი ხანია მიმდინარეობს. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა საჭიროდ ჩათვალა მისი შეკეთება, მაგრამ რატომღაც კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ შ. შანიძემ არ შეასრულა ზემდგომი ორგანოების დადგენილება. ეს მაშინ, როცა ზემდგომი ორგანოების და კოოპერატივის წევრთა საერთო კრების დადგენილებით „ბინმშენის“ წევრებს აქვთ შექმნილი სარემონტო ფონდი, რომელიც ბანკშია შეტანილი და 10 წელზე მეტია უმძიმრად დევს საკმაოდ დიდი თანხა. ამის შედეგია ის, რომ „ბინმშენის“ წევრებს უმრავლესობა სამარილიან უკმაყოფილებას გამოსთქვამს და ისინი კოოპერატივიდან გასვლას და მის ლიკვიდაციას მოითხოვენ.

დროა უკანონო ფორმალური გადაწყვეტილებების გამოტანას, თანხების გამოძალვას და კერძო საკუთრების მოტრფიალეთა დაცვას ბოლო მოეღოს. მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ უკანონო მოქმედების ჩამდენი მუშაკები მხილებული არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ პასუხს არავინ სთხოვს.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რომ ამ საკითხებს და ფაქტებს ყურადღება მიექცეს და მათზე რეაგირება მოახდინონ სათანადო ორგანოებმა.

ალ. ჭიჭინაძე,
საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „ბინმშენის“ გამგეობის თავმჯდომარე.

ფეხბურთი

ორი ნაბიჯი თასამდე

დღეს და ხვალ ვოროშილოვგრადსა და მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის თასის 36-ე გათამაშების ნახევარფინალური მატჩები — **„ზარია“-მოსკოვის „ტორპედო“** და **„დინამო“-ლენინგრადის „ზენიტი“.** ამ შეხვედრების ნახვა შეგიძლებთ ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებით **კვირას 20 საათიდან, ორშაბათს კი 20 საათიდან და 30 წუთიდან თბილისის დროით.**

ტორპედოელები ხუთჯერ ფლობდნენ ამ სანუკვარ ჯილდოს, დინამოელები — ოთხჯერ, ნევისპირელები — ერთხელ, ხოლო „ზარია“ ორჯერ იყო ფინალების მონაწილე — 1974 და 1975 წლებში;

„ზარია“ და „ტორპედო“ თასისათვის ბრძოლაში ჯერ ერთმანეთს არ შეხვედრიან, „ზენიტსა“ და „დინამოს“ კი „ძველი ანგარიშები“ აქვთ — ერთხელ გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა (1944 წელს — 3:1), ორჯერ — მოსკოველებმა (1973 და 1974 წლებში).

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩზე

ჟენევაში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების სპასიანა და პორტიშის ნახევარფინალური მატჩის მეათე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 5:5.

მძლეოსნობა

ჩემპიონატის ფინიში

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი. „სპორტის დედოფლის“ უმაღლესი წოდებები უმეტეს სახეობებში ახალმა თაობამ მოიპოვა. მაგალითად, ურო ყველაზე შორს ტყორცნა სტავროპოლელმა ალექსანდრე კოზლოვმა — 75,0 მეტრზე და უკან მოიტოვა შარშანდელი საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიადის ჩემპიონი კიეველი ი. სედიხი, ცნობილი ათლეტები ე. დმიტრენკო და ბ. ზაიბუკი. უსაწყვეტოდ (ნატკენი ფეხის გამო მას ექიმებმა ურჩიეს მონაწილეობა არ მიეღო ტურნირში), მისმა „დუბლიორმა“ ლენინგრადელმა ა. პისკულინმა იმდენად უკონკურენტოდ იგრძნო თავი, რომ... კინაღამ ფინალში ვერ მოხვდა. საბოლოოდ მან მაინც გაიმარჯვა — 16 მ. 92 სმ.

დაძაბულად წარიმართა ბრძოლა 20 კილომეტრზე სიარულში, სადაც მოწაფემ — ანატოლი სოლომინმა (უკრაინა) ფინიშზე გაუსწრო მასწავლებელს — ვეტერან ბორის იაკოვლევს. გამარჯვებულის დროა 1:28.15,2. ქალთა შორის 1.500 მეტრზე რბენაში ფინალში ორი ოლიმპიური ჩემპიონი იბრძოდა — ტატიანა კაზანკინა (ლენინგრადი) და ლიუდმილა ბრაგინა (რსფსრ). გამარჯვება კაზანკინამ — 4.04,2.

სამალლეზე ხტომაში შედეგები მოკრძალებული აღმოჩნდა. ქალთა შორის პირველი იყო ტატიანა ბოიკოშლიახტა (ბელორუსია) — 1 მ. 87 სმ., ვაჟთა შორის კი მისი თანაგუნდელი ალექსანდრე გრიგორიევი — 223 სმ. მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო ასპარეზობაში არ მონაწილეობდა.

ძველი კოლხეთის საიდუმლოებანი

ვანის დასავლეთ განაპირას, პატარა ბორცვზე შემორჩენილია ანტიკური ეპოქის დიდი ქალაქის ნარჩენები. პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით აქ რამდენიმე წელია გათხრებს ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-I საუკუნეების მძლავრი დამცავი ქვისა და ალიზის კედლები, რომლებიც გამაგრებულია კოშკებითა და კონტრფორსებით, ჩინებულად გამოთლილი თეთრად მოქათქათე ქვის ფილებით ნაგები ქალაქის ჭიშკარი, წვრილი კენჭებით მოკირწყლული ქვაფენილი, რამდენიმე ძველკოლხური სამლოცველო მდიდრული სამსხვერპლოებით, საფეხურებიანი საკურთხეველი, მრგვალი ტაძარი.

დიდ ინტერესს იწვევს კოლხეთის ნატიფი კერამიკის მრავალრიცხოვანი ნამსხვრევები: ბრინჯაოს მდიდრული ჭურჭელი, რომელსაც ფრთოსანი ღმერთქალის ნიკეს ქანდაკი ამშვენებს — უცნობი ბერძენი ოსტატის ჩინებული ქმნილება, ქართული მონუმენტური ქანდაკების უძველესი ნიმუშები.

სურათებზე: ზემოთ — მეცნიერები გათხრების დროს. ქვემოთ — რესტავრატორი დოდო გაბუნია მუშაობის დროს.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მ. ციცეკაძე

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1915 წლიდან, ვეტერანი კოლმეურნე **მეტია გიტოს ასული ციცეკაძე.**

მ. ციცეკაძე დაიბადა 1891 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ზემოფარცხმაში, (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი ადრე დაობლდა და 8 წლისა უკვე მოჯამაგირედ მუშაობდა. 1904 წლიდან სეზონური მუშა იყო ჩოხატაურში აბრეშუმის საპარკეში. ამ პერიოდში გაეცნო იგი არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერებს.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს მონაწილეობდა დემონსტრაციებში, მიტინგებში, თვითმმართველობის წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო გამოსვლებში. 1907 წელს მ. ციცეკაძემ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა 1904 წლიდან სკკპ წევრს კოსტა გლახუნის-ძე ციცეკაძეს. 1908 წლიდან 1929 წლამდე იგი დიასახლისი იყო, მერე კი, როცა კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბება დაიწყო, ზემოფარცხმის კოლმეურნეობის აქტიური წევრი გახდა და თავისი პირადი მაგალითით აღანთებდა მშრომელებს კოლექტივიზაციის წლებში, იყო მოწინავე მეჩაიე, მეაბრეშუმე.

1947 წლიდან იგი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. ზეადი შვილი აღზარდა მეტია ციცეკაძემ. მათგან სამი დიდი სამამულო ომის ფრონტზე დაეღუბა. დიდმა ტაგედიამ რწმენა როდი გაუტეხა კომუნისტ ქალს, ამის შემდგომაც აქტიურად იდგა იგი შრომის ფრონტზე.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს კომუნისტი ქალის დამსახურება სამშობლოს წინაშე, იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სამამული ომის ორდენით და მედლით 1941-1945 წლებში შრომითი მამაცობისათვის.

სპეტაკი ბოლშევიკის, საკოლმეურეო შრომის ვეტერანის, გმირი დედის მ. ციცეკაძის ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, ამხანაგების ულაფიერ.

ამხანაგების ჯგუფი.

სამგზის ლაურეატი

ჩვენს ქვეყანაში არის საღამოს გაზეთები, რომლებიც არა მარტო სისტემატურად უწევენ პოპულარობას საჭადრაკო კომპოზიციას, არამედ აწყობენ კონკურსებს ამოცანებისა და ეტიუდების შედგენისათვის. თავის დროზე ასეთი შეჯიბრებები მოაწყვეს „ვეჩერნი ტბილისის“, აგრეთვე მოსკოვის, კიევის, ნოვოსიბირსკის, ოდესის, სვერდლოვსკის და სხვა ქალაქების საღამოს გაზეთებმა. მაგრამ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა „ვეჩერნი ლენინგრადი“, რომლის საერთაშორისო კონკურსები უკვე ტრადიციად იქცა.

ლენინგრადელთა ფორუმებზე წარმატებით გამოდიან საქართველოს ავტორები, მაგრამ მათ შორის პირველობის პალმა თბილისელ კომპოზიტორს რევაზ თავარიანს უნდა მივაკუთვნოთ. კერძოდ, მას ლენინგრადის კონკურსებზე სხვადასხვა დროს მოპოვებული აქვს ორი II პრიზი მრავალსვლიანებში, ხოლო სულ ახლახან, მისმა ხუთსვლიანმა ამოცანამ 1975-76 წლების შეჯიბრებაზე უმაღლესი ჯილდო — I პრიზი დაიმსახურა.

საკავშირო კატეგორიის მსაჯს რ. თავარიანს კარგად იცნობს ჭადრაკის სამყარო. იგი ამ რამდენიმე ხნის წინათ ქუთაისში გამართული საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის მთავარი არბიტრი იყო და „კომუნისტის“ მკითხველებს გააცნო ჩემპიონატის მსვლელობა. აღსანიშნავია, რომ მისი საკომპოზიციო შემოქმედება მრავალსვლიანი ამოცანების ჟანრში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. იგი უმთავრესად ლოგიკური საამოცანო სკოლის მიმდევარია, მაგრამ ჩანაფიქრის ღრმა შეინიღბულობის გამო ამ ნაწარმოებების ამოხსნა საკმაოდ ძნელია. ამ მხრივ, თავარიანის მანერა გასული საუკუნის გამოჩენილი პრობლემისტის ფილიპ კლეტისას შეიძლება შევადაროთ.

კერძოდ, პრემირებული ნაწარმოები, რომლის ამოხსნასაც ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ, შედგენილია საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის დროს შემოთავაზებულ თემაზე: „თეთრი პიეკების თამაში“. ლამაზი პირველი სვლა 1. ლა7 (1. ლე3? ხვლის უარმყოფელი ვარიანტის მონახვა მკითხველთათვის მიგვინდვია), ფარდას ხსნის და სცენას „ეპატრონება“ თეთრი პიეკების მწკრივი, რომელიც მომდევნო თამაშში გადამწყვეტ სიტყვას ამბობს შავი მეფის დატყვევებაში.

რ. თავარიანი, 1976



შამათი 5 ხვლაში

მოძებნეთ შემდგომი ამოხსნის ძირითადი გაგრძელება, ძვირფასო ზეგობრებო!

ვ. ნეიძე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

ვ ი ვ ლ ი ს ი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „კონცერტი ორი ვიოლინისათვის“ (ფერადი), 12.30 — „კინოფიშა“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 13.30 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 13.50 — პიონერებისათვის — სატელევიზიო პროგრამა — „ჟიცოხი“, 14.30 — „ჟინოს მოყვარულთათვის“, 15.40 — „ხუთწლედის მოწინავე ხაზზე“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.20 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 16.50 — „დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა“ — სტუდიაშია სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი (ფერადი. მოსკოვიდან), 17.05 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.50 — ფერადი მულტიპლიკაციური ფილმი „მხიარული სპილო“, 18.00 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 19.00 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ (ფერადი), 19.20 — ფერადი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თათრული სუვენირები“, 19.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — „განვიხილავთ სსრ კავშირის კინსტიტუციის პროექტს“ (ფერადი. მოსკოვიდან), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე: „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). ნახევარფინალი (ვოროშილოვგრადიდან), 22.00 — „ეკრანია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სცენები მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯამბაზები“ (ფერადი), 18.25 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მე მყვინთავი — 2 ვარ“. (ფერადი).

ოდესა

1 ა ვ გ ვ ი ს ტ ო

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მომოხილვა (მოსკოვიდან), 08.45 — ქარიული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ა. დარგომიჟსკი. ოპერა „ალი“, ნაწყვეტები, 11.45 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის“ — „სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიდი მონაპოვარი“, 12.15 — ბ. სმეტანა. სიმფონიური პოემა „ულტავა“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. სალიეთის ლექსები, 12.30 — მდერის „ცისფერი ტრიო“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ი. ფრენკელი. სიმღერები, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ი. ლისაშვილი — „ეკეცხოველი“. რომანი, 14.20 — „სადირიჟორო პულტთან — ბ. როჟდესტვენსკი“, 15.00 — „მეგობართა ხმები“ (გადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან), 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, 18.10 — ს. ცინცაძე. საკვარტეტო პიესები, 18.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 19.00 — რადიონარკვევი „ხუთწლედის ხარაჩოებთან“, 19.15 — ქართული ხალხური მ